

მანანა მელიქიშვილი

**მორალური
განვითარების თეორია**

2012

მანანა მელიქიშვილი,
მორალური განვითარების თეორია

რედაქტორი:
ნათია ნაცვლიშვილი

ყდის დიზაინი და დაკაბადონება:
ლევან ბარბაქაძე

მასალის მომზადებისას განეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით
ნინო ლაბარტყავას და საბა ჩიხლაძეს

© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012.
www.tpdg.ge

მორალური განვითარების თეორია

ძირითადი საკითხები:

- ჟ. პიაჟეს შეხედულება ბავშვის მორალურ განვითარებაზე
- ლ. კოლბერგის მორალური განვითარების თეორია
- ლ. კოლბერგის თეორიის მნიშვნელობა განათლებისთვის

ცნება მორალი, ზნეობა გულისხმობს ადამიანის ქცევის განმსაზღვრელ პრინციპებს, ღირებულებებს და ნორმებს.

ზნეობრიობის ოქროს წესი: მოექეცი სხვას ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ.

იციოთ, თუ არა:

- რომ ბავშვმა შეიძლება ჩათვალოს თავისი თანატოლი დამნაშავედ მხოლოდ იმიტომ, რომ ის დაისაჯა.
- რომ ბავშვები სამართლიანად თვლიან "სამაგიეროს" გადახდის პრინციპს (მაგალითად, შენ თუ დამარტყი, მეც დაგარტყამ).

ბავშვები, განვითარებასთან ერთად, სწავლობენ, რა არის კარგი და რა არის ცუდი, განასხვავებენ სიკეთეს სისასტიკისგან, ხელგაშლილობას - ეგოიზმისგან. მორალი ნიშნავს ბევრად მეტს, ვიდრე სოციალური წესების მექანიკური დამახსოვრებაა. ის მოიაზრებს გადწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის სწორი და რა - არასწორი.

მორალის გამოვლინების სამი სახე არსებობს: მორალური მსჯელობა, მორალური გრძნობები და მორალური ქცევა. მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მორალურმა მსჯელობამ მიიქცია. ის დეტალურად შეისწავლეს ჟ. პიაჟემ, ლ. კოლბერგმა, კ. გილიგანმა. მორალური მსჯელობა, ისევე როგორც აღქმა, აზროვნება, გრძნობები, სიარული და ყველა სხვა გამოვლინება, რაც ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, გადის განვითარების გარკვეულ გზას.

ჟ. პიაჟეს შეხედულება ბავშვის მორალურ განვითარებაზე

ჟ. პიაჟემ მორალი განსაზღვრა, როგორც ინდივიდის მიერ სოციალური წესების პატივისცემა, სამართლიანობის გრძნობის არსებობა, რომელიც ეყრდნობა ადამიანთა შორის თანასწორობისა და ერთმანეთზე ზრუნვის პრინციპს.

ბავშვის აზროვნების განვითარების შესწავლასთან ერთად, ჟ. პიაჟე დაინტერესდა, თუ როგორ ვითარდება ბავშვის მორალური მსჯელობა. მისი აზრით, ბავშვის მიერ მორალური ნორმებისა და სოციალური კონვენციების (შეთანხმების) გაგება უნდა შეესატყვისებოდეს კოგნიტური განვითარების დონეს.

ჟ. პიაჟეს თანახმად, მორალური მსჯელობა ვითარდება სოციალური გამოცდილებისა და კოგნიტური შესაძლებლობების განვითარების პარალელურად.

ჟ. პიაჟე აკვირდებოდა ბავშვების თამაშს და ეკითხებოდა, თუ საიდან იცოდნენ თამაშის წესები, რას ნიშნავდა ისინი და რატომ იყო აუცილებელი მათი დაცვა?

ბავშვების პასუხებიდან გამომდინარე, ჟ. პიაჟე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბავშვების მიერ წესების გაგება გაივლის: წინა მორალურს (0 სტადია), მორალური რეალიზმის (1 სტადია) და მორალური რელატივიზმის (მე-2 სტადია) საფეხურებს, რომლებიც 4 ეტაპისგან შედგება.

პირველი ეტაპი (0 სტადია) აღმოცენდება ოპერაციამდელი სტადიის დასაწყისში (4 წელი), მაშინ როცა ბავშვი იწყებს სიმბოლურ თამაშს. ამ ეტაპზე ბავშვებისთვის დამახასიათებელია „პარალელური“ თამაში, როცა ბავშვები თამაშობენ ერთმანეთის გვერდით, საერთო სათამაშოებით, მაგრამ სოციალური

ორგანიზაციის გარეშე (არ აქვთ თამაშის საერთო სიუჟეტი და მიზანი). თითოეული ბავშვი თამაშისას იყენებს საკუთარ წესებს, რომლებიც მათ სურვილებზეა დამოკიდებული. მაგალითად, ბავშვმა შეიძლება დააჯგუფოს სხვადასხვა ფერის კუბები. ეს „წესები“ ბავშვის თამაშს გარკვეულ კანონზომიერებას აძლევს, რომლის მიზანიც არ არის თანამშრომლობა ან შეჯიბრება. ბავშვი მიიჩნევს, რომ კარგია ის, რაც მას მოსწონს.

მეორე ეტაპზე (მორალური რეალიზმის სტადია, 5 წლიდან)

ბავშვს უჩნდება განცდა, რომ მან უნდა დაიცვას წესები, რომლებიც დადგენილია უფროსების მიერ. წესები მუდმივია, ხელშეუხებელი და მათი შეცვლა არ შეიძლება, ხოლო დასჯა გარდაუვალია. მაგალითად, 6 წლის ბავშვი სამართლიანად ჩათვლის, რომ ბავშვი, რომელმაც ფანჯარა განზრახ გატეხა, ფიზიკურად უნდა დაისაჯოს და არ იქნება სწორი მისი „ჯიბის“ ფულიდან ფანჯრის ღირებულებების კომპენსაციის გადახდა.

ჟ. პიაჟეს აზრით, ეს განპირობებულია 2 მოსაზრებით:

- უფროსი უფრო ძლიერია, ამიტომ მან შეიძლება აიძულოს ბავშვი, მას დაემორჩილოს, ამიტომ ბავშვმა უნდა შეასრულოს დადგენილი წესები.
- ბავშვის აზროვნებისათვის დამახასიათებელია ეგოცენტრიზმი. მას ჰგონია, რომ სხვებიც ისე ფიქრობენ, როგორც ის.

ამ ასაკში ბავშვები უარს ამბობენ თამაშის წესების შეცვლაზე. ბავშვები საქციელზე მსჯელობენ შედეგის მიხედვით და არ ითვალისწინებენ ქცევის განზრახვას, მიზანს, მოტივს. მაგალითად, ამ ლოგიკით, გოგონა, რომელსაც უნდოდა დედას დახმარებოდა ჭურჭლის გარეცხვაში და შემთხვევით გატეხა 10 თეფში, უფრო დამნაშავეა, ვიდრე მეორე გოგონა, რომელმაც განზრახ გატეხა ერთი თეფში.

ამას ყ. პიაჟე უწოდებს მორალურ რეალიზმს.

მორალური რეალიზმი ნიშნავს იმას, რომ ბავშვები წესებს განიხილავენ, როგორც უდავო ჭეშმარიტებას, და არა შეთანხმებულ პრინციპებს, რომელიც შესაძლოა შეიცვალოს.

მესამე ეტაპზე (მორალური რელატივიზმის სტადია, 7 წლიდან) ბავშვები ხვდებიან, რომ ზოგიერთი წესი არის სოციალური კონვენცია (შეთანხმება), რომელიც შეიძლება შეიცვალოს, თუ ყველა თანახმა იქნება. მორალური რეალიზმი კარგავს თავის ძალას. ამ ეტაპზე ბავშვის მორალური მსჯელობები ითვალისწინებს განზრახვას, ხოლო დასჯას განიხილავენ, როგორც ადამიანის გადაწყვეტილებას.

მაგალითად, 10 წლის ბავშვი იტყვის, რომ გოგონა, რომელმაც განზრახ გატეხა 1 თეფში, უფრო დამნაშავეა, ვიდრე გოგონა, რომელმაც შემთხვევით გატეხა 10 თეფში. ასევე, სამართლიანად ჩათვლის, რომ ბიჭმა, რომელმაც განზრახ გატეხა ფანჯარა, უნდა გადაიხადოს თავისი „ჯიბის“ ფულიდან (ფიზიკურად არ უნდა დაისაჯოს), რათა ისწავლოს, რომ ფანჯრის შუშა ფული ღირს. მან უნდა გააცნობიეროს თავისი ცუდი საქციელი, რათა მეტად აღარ გაიმეოროს.

ბავშვები იწყებენ სამართლიანი ქცევის განხორციელებას, რომელიც ამ ეტაპზე არ არის სრულყოფილი. ისინი სამართლიანად თვლიან „სამაგიეროს“ გადახდის პრინციპს. მაგალითად, შენ თუ დამარტყი, მეც დაგარტყამ; ან: თუ სათამაშოს მათხოვებ, მეც გათხოვებ ჩემს სათამაშოს.

ამას ყ. პიაჟე უწოდებს მორალურ რელატივიზმს.

მორალური რელატივიზმის თანახმად, ბავშვები აცნობიერებენ, რომ ადამიანები თანხმდებიან წესებზე და

თავადვე შეუძლიათ მათი შეცვლა.

მეოთხე ეტაპი (მორალური რელატივიზმის სტადია)
ინყება ფორმალური ოპერაციების სტადიაზე (11 წლიდან). ამ ეტაპისთვის დამახასიათებელია მორალური აზროვნების იდეოლოგიური ფორმა, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ პირად და პიროვნებათშორის სიტუაციებს, არამედ სოციალურ სამართლიანობას.

მათ ესმით, რომ წესები სოციალური შეთანხმების შედეგია, რომელთა შეცვლაც შეიძლება, იმისათვის რომ გათვალისწინებულ იქნას ინდივიდუალური გარემოებები და იყოს ყველა ადამიანისთვის სამართლიანი.

ჟ. პიაჟეს აზრით, ამ ეტაპზე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ უფროსები. თუ ისინი უარს არ იტყვიან თავიანთი ძალაუფლების ნაწილის დათმობაზე, ამან შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის მორალური განვითარების შეფერხება, რადგან განამტკიცებს ბავშვის დამოკიდებულებას ძალაუფლების მქონე ადამიანებზე. თუკი უფროსები ამავე დროს თავიანთ მოთხოვნებს მუქარას უკავშირებენ (მაგალითად, ასე უნდა მოიქცე, იმიტომ რომ მე ასე ვთქვი), დასჯის შიშის გამო, ბავშვები მომავალში წესებს განიხილავენ, როგორც აბსოლუტურ სამართლიანობას.

ცხრილი 1.

პიაჟეს მორალური განვითარების სტადიები

ლოგიკური სტადია	მორალური სტადია
<p>ოპერაციამდელი სტადია (2 - 7 წელი)</p>	<p>0 -სტადია</p> <p>1 ეტაპი - კარგია ის, რაც მინდა და მომწონს (4 წელი)</p> <p>1 სტადია - მორალური რეალიზმი</p> <p>მე-2 ეტაპი</p> <p>ნესები მუდმივია და მათი შეცვლა არ შეიძლება, ხოლო დასჯა გარდაუვალია (5 წლის ზემოთ)</p>
<p>კონკრეტული ოპერაციების სტადია (7 - 11 წელი)</p>	<p>მე-2 სტადია - მორალური რელატივიზმი</p> <p>მე-3 ეტაპი - ნესები დადგენილია ადამიანის მიერ და მის მიერვე შეიძლება შეიცვალოს. ბავშვები ითვალისწინებენ განზრახვას, ხოლო დასჯა ადამიანის გადაწყვეტილებაა (7 წლიდან).</p>
<p>ფორმალური ოპერაციების სტადია (11- 15 წელი)</p>	<p>მორალური რელატივიზმი</p> <p>მე-4 ეტაპი - ნესები სოციალური შეთანხმების შედეგია,</p> <p>რომელთა შეცვლაც შეიძლება იმისათვის, რომ</p> <p>გათვალისწინებულ იქნეს ინდივიდუალური გარემოებები და იყოს ყველა ადამიანისთვის სამართლიანი (13 წლიდან).</p>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჟ. პიაჟე თვლიდა, რომ მორალური განვითარება კავშირშია აზროვნების განვითარების დონესთან. ბიჰევიორისტები კი საპირისპირო შეხედულებას იზიარებენ. მათი აზრით, ზნეობრივი ქცევა მიეკუთვნება პირობითი რეფლექსების კატეგორიას, სადაც გამლიზიანებელი (სტიმული) შეიძლება იყოს შიში, ამა თუ იმ ქცევაზე ან სიტუაციაზე. ბავშვის მხრიდან სოციალურად მისაღები მორალური წესის დარღვევას მოჰყვება დასჯა, რომელიც განიცდება როგორც შიში და ტკივილი.

მორალური ქცევა (ისევე, როგორც ყველა სხვა ქცევა) არის დასწავლის შედეგი, რომელსაც საფუძვლად უდევს ოპერანტული განპირობებულობა (სკინერი). ოპერანტული განპირობებულობის პრინციპი კი შემდეგში მდგომარეობს: ქცევა მოსალოდნელია მომავალშიც განმეორდეს, როცა მას განმამტკიცებელი სტიმული მოსდევს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სიხშირე იკლებს და ბოლოს მთლიანად ქრება. განმამტკიცებლების სისტემა კი შედგება სოციალური სტიმულებისგან: შექება, ყურადღება, აღიარება, ღიმილი. თუ ჩვენ გვინდა, რომ ბავშვებმა მორალური ქცევა განახორციელონ, ჩვენ ეს ქცევა მაშინვე უნდა განვამტკიცოთ, როგორც კი ბავშვები მათ გამოამყლანებენ. ამავე დროს, არ უნდა განვამტკიცოთ ბავშვის არასასურველი ქცევა. მაგალითად, თუ ჩვენ ვაძლევთ ბავშვს უფლებას, თავისი თანაკლასელები დაჩაგროს, ამით ჩვენ ვამტკიცებთ და ვზრდით ბავშვის აგრესიულობას.

სოციალური დასწავლის თეორიის ავტორი ა.ბანდურა თვლის, რომ ბავშვები სწავლობენ სხვა ადამიანებზე ანუ მოდელებზე დაკვირვების საშუალებით. სწავლების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვი ცდილობს სხვისი ქცევის მიბაძვას და არ

ელოდება შექებას ან დასჯას. მაგალითად, თუ ბავშვს მისი მკურნალი ექიმი თბილად ექცევა, მან შეიძლება გადანწყვიტოს, რომ თვითონაც ექიმი გახდეს.

ა. ბანდურას მიხედვით, მორალური ღირებულებებისა და საზოგადოებაში ქცევის ნესების ათვისება გაივლის იმიტაციისა და მოდელირების სტადიებს. თუ ბავშვი ხედავს, რომ ადამიანების (ან ბავშვების) ქცევა გარშემომყოფთათვის მისაღებია, ის ცდილობს, გააკეთოს ამ ქცევის მოდელირება. მაგალითად, ბავშვებს აჩვენებდნენ ფილმს, სადაც ნაჩვენებია იყო უფროსი ადამიანების განსხვავებული ქცევის ტიპი (აგრესიული ან არა აგრესიული). ბავშვები, რომლებიც უყურებდნენ აგრესიულ ქცევას, თვითონაც უფრო ხშირად ავლენდნენ აგრესიას.

ლ. კოლბერგის მორალური განვითარების თეორია

ლ. კოლბერგი აღნიშნავდა, რომ ჟ. პიაჟემ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ინტელექტის შესწავლას და უყურადღებოდ დარჩა განვითარების ისეთი სფერო, როგორცაა - პიროვნება. ლ. კოლბერგმა დასვა ასეთი კითხვა: რომელი შემეცნებითი სტრუქტურები აღწერენ ისეთ მოვლენებს, როგორცაა ტყუილი (რომელიც აღმოცენდება გარკვეული ასაკის ბავშვებში და აქვს თავისი განვითარების ეტაპები), შიში (რომელიც, ასევე, ასაკობრივი მოვლენაა), ქურდობა (ასევე დამახასიათებელია ბავშვობის პერიოდისთვის). ცდილობდა რა დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას, ლ. კოლბერგმა აღმოაჩინა ბავშვის განვითარებაში რიგი საინტერესო ფაქტებისა, რომელმაც საშუალება მისცა მას, შეექმნა ბავშვის მორალური განვითარების თეორია.

ლ. კოლბერგმა კვლევა ჩაატარა ბიჭებზე (ნ. ეიზენბერგის და სხვა მეცნიერების კვლევებით დასტურდება, რომ ბიჭებისა და გოგონების მორალური მსჯელობის განვითარება მსგავსია),

რომლებიც 3 ასაკობრივ ჯგუფში ერთიანდებოდნენ (10, 13 და 16 წელი). ლ. კოლბერგი ბიჭებს მორალურ დილემებს აწოდებდა, ხოლო მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მათ მორალურ განვითარებას აფასებდა. განვიხილოთ ერთ-ერთი დილემა:

„ევროპაში ერთი ქალი კიბოს იშვიათი ფორმით იყო ავად და კვდებოდა. არსებობდა ერთადერთი წამალი, რომელსაც, ექიმების აზრით, ამ ქალის შველა შეეძლო. ეს წამალი აღმოაჩინა აფთიაქარმა, რომელიც იმავე ქალაქში ცხოვრობდა. წამლის წარმოება ძვირი ჯდებოდა, თუმცა აფთიაქარი ითხოვდა იმაზე 10-ჯერ მეტს, ვიდრე წამლის თვითღირებულება იყო. ამ წამლისთვის საჭირო მასალას 200 დოლარად ყიდულობდა, ხოლო მზა წამლისთვის კი 2000 დოლარს ითხოვდა. ავადმყოფი ქალის ქმარმა ყველა ღონე იხმარა, მაგრამ 1000 დოლარზე მეტი ვერ შეაგროვა. მან აფთიაქარს სთხოვა, რომ ან იაფად მიეყიდა წამალი, ან მოგვიანებით გადაუხდოდა დარჩენილ თანხას. მაგრამ აფთიაქარმა უპასუხა: - არა, ეს წამალი მე აღმოვაჩინე და ახლა მისი გაყიდვით ფულის შოვნა მინდა. სასონარკვეთილი ქმარი ღამით აფთიაქში შეიპარა და წამალი მოიპარა“.

დილემის მიწოდების შემდეგ ლ. კოლბერგი სვამდა კითხვებს:

- უნდა მოიპაროს თუ არა წამალი ქმარმა? რატომ?
- სწორია თუ არა წამლის მოპარვა? რატომ?
- ცოლი რომ არ უყვარდეს, უნდა მოიპაროს? რატომ?
- სხვა რომ კვდებოდეს, უნდა მოიპაროს? რატომ?
- მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა ყველაფერი გააკეთოს, რათა სხვისი სიცოცხლე გადაარჩინოს? რატომ?

- ქურდობა კანონით ისჯება. მორალურადაც ცუდია?

განავითარა რა ჟ. პიაჟეს იდეა (რომელსაც ლ. ვიგოტსკიც ეთანხმებოდა), რომ ბავშვის მორალური მსჯელობა კოგნიტური განვითარების პარალელურად ვითარდება, ლ. კოლბერგს აინტერესებდა არა ის, ჩათვლიდა თუ არა კონკრეტული ბავშვი ქმრის საქციელს მორალურად ან ამორალურად, არამედ ის, თუ როგორ დაასაბუთებდა თავის პასუხს და როგორ იმსჯელებდა ამის შესახებ. მას აინტერესებდა, თუ რატომ თვლიდა ბავშვი ქმარს დამნაშავედ ან უდანაშაულოდ.

შეისწავლა რა ბავშვების პასუხები, ლ. კოლბერგმა გამოყო მორალური განვითარების სამი ძირითადი დონე და თითოეული დონე კი ორ სტადიად დაყო. პირველ დონეს ლ. კოლბერგმა პრეკონვენციური დონე უწოდა, მეორეს - კონვენციური, ხოლო მესამეს - პოსტკონვენციური (**კონვენციური წესები შექმნილია ადამიანების კონკრეტული ჯგუფის ან კულტურის მიერ**).

განვიხილოთ თითოეული დონე და სტადია:

დონე I. პრეკონვენციური მორალი

სტადია 1. მორჩილება და დასჯაზე ორიენტირება. ლ. კოლბერგის პირველი სტადია ჟ. პიაჟეს მორალური განვითარების პირველ სტადიას შეესაბამება. ბავშვი თვლის, რომ ვიღაც „ყოველისშემძლე ადამიანები“ ადგენენ წესებს, რომელთაც უსიტყვოდ უნდა დავემორჩილოთ. მაგალითად, ბავშვი ამბობს - ნამალი არ მოიპაროთ, რადგან, თუ ასე მოიქცევით, დაგიჭერენ და ციხეში ჩაგსვამენ.

მიუხედავად იმისა, რომ პირველ სტადიაზე მყოფი ბავშვების დიდი უმრავლესობა ქურდობის წინააღმდეგია, არსებობენ

ბავშვები, რომლებიც ქმრის საქციელს ამართლებენ. ბავშვს შეუძლია თქვას: - თუ ცოლს სასიკვდილოდ განირავთ, დაგადანაშაულებენ, რომ წამალი არ მოიპარეთ მის დასახმარებლად.

მორალური აზროვნების პირველ სტადიაზე მყოფ ბავშვს აღელვებს ის, თუ რის ნებას იძლევიან „ყოვლისშემძლე უფროსები“ და რისი გაკეთებისთვის სჯიან.

ამ სტადიაზე მყოფი ბავშვები ზნეობას განიხილავენ, როგორც რალაც გარეგანს, მათგან დამოუკიდებელს, რალაცას, რაც მათ უნდა გააკეთონ, რადგანაც ასე ამბობენ უფროსები.

ბავშვი ემორჩილება უფროსის, მშობლის მიერ დადგენილ წესებს. ისინი სწორ ან არასწორ საქციელს იმის მიხედვით განსაზღვრავენ, თუ რა შედეგი მოჰყვება მას. ის, რაც ისჯება, ცუდია; ის, რაც ჯილდოვდება - კარგი. თუ წაასწრეს და დასაჯეს, მაშინ მისი საქციელი არასწორია, საწინააღმდეგო შემთხვევაში კი - სწორი.

სტადია 2. მარტივი ინსტრუმენტული ჰედონიზმი (ორიენტაცია საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე). ამ სტადიაზე ბავშვები აცნობიერებენ, რომ არ არსებობს ერთი სწორი შეხედულება, რომელიც „ყოვლისშემძლე ადამიანისგან“ გამომდინარეობს. სხვადასხვა ადამიანს შეიძლება სხვადასხვა შეხედულება ჰქონდეს. ისინი სწორად მიიჩნევენ საქციელს, როდესაც ადამიანი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. მაგალითად, ბავშვი ამბობს: ფარმაცევტსაც და ქმარსაც შეუძლია, რაც უნდა, ის გააკეთოს. თუ ქმარი გადაწყვეტს, ცოლი გადაარჩინოს და ციხეში მოხვდეს ცოლის გულისთვის, ეს მისი გადასაწყვეტია. იგივე ეხება ფარმაცევტსაც. მას უნდა, ფული იშოვოს. ეს ხომ მისი ბიზნესია, ან - ქმარი უფრო მეტად რისკავს, ვიდრე ღირს (ის შეიძლება დიდი ხნით ციხეში ჩასვან).

მეორე სტადიაზე მყოფი ბავშვების მსჯელობა შეიძლება ამორალურად მოგვეჩვენოს, მაგრამ მათ აქვთ გარკვეული წარმოდგენები სამართლიან საქციელზე. ეს არის სამართლიანი და პატიოსანი გაცვლის გაგება, რომლის მიღმაც ორმხრივი ვალდებულების ფილოსოფია დგას (შენ - მე, მე - შენ).

ქცევის შეფასების მთავარი კრიტერიუმი სარგებლიანობაა. ბავშვი ემორჩილება წესებს, თუ საპასუხოდ პირადი მოთხოვნებიც დაუკმაყოფილდება. წესი გაგებულია, როგორც გარიგება. მაგალითად, თუ ბავშვს სხვისი სათამაშო მოეწონება, მას შეუძლია არა მხოლოდ მისი წართმევა, არამედ სათამაშოების გაცვლის შეთავაზებაც. ბავშვი ვერ აფასებს თავის ქცევას საზოგადოებრივი პოზიციიდან. მისი ხედვა ეგოცენტრულია. ასეთი ხედვა დამახასიათებელია სკოლამდელი და დაწყებითი სკოლის მოსწავლისთვის.

პირველ და მეორე სტადიაზე მყოფი ბავშვები საუბრობენ დასჯაზე, თუმცა სხვადასხვანაირად იღებენ მას. პირველ სტადიაზე დასჯა, ბავშვის აზრით, დაკავშირებულია ბოროტებასთან, დასჯა „ადასტურებს“, რომ ქცევა არასწორი იყო. მეორე სტადიაზე კი დასჯა ეს უბრალოდ საფრთხეა, რომელსაც, ბუნებრივია, ადამიანი, თავისივე სურვილით, ცდილობს, რომ გაექცეს.

დონე II. კონვენციური მორალი.

სტადია 3. კარგი ადამიანური ურთიერთობები. ამ სტადიაზე ბავშვები, რომლებიც, როგორც წესი, უკვე მოზარდობის ასაკს არიან მიღწეულნი, მორალს განიხილავენ, როგორც უფრო მეტს, ვიდრე ჩვეულებრივი შეთანხმებაა. ისინი თვლიან, რომ ადამიანებმა ოჯახისა და საზოგადოების მოლოდინების შესაბამისად უნდა იცხოვრონ და „კარგად“ უნდა მოიქცნენ. კარგი საქციელი ნიშნავს კარგი მოტივებისა და პიროვნებათშორისი გრძნობების ქონას, როგორცაა სიყვარული, ემპათია, ნდობა

და სხვებზე ზრუნვა. მაგალითად, ბავშვები თვლიან, რომ ქმარი მართალი იყო, „რადგან ის კარგი ადამიანია, ცოლის გადარჩენა უნდოდა“, ან თუ არ ამართლებენ ქმრის საქციელს, ამბობენ „წამლის მოპარვის შემდეგ ცუდი აზრები შეგანუხებთ, როგორ შეარცხვინეთ ოჯახი და საკუთარი თავი“.

ამ სტადიაზე მყოფი ბავშვის სურვილია, მოეწონოს სხვა ადამიანებს, „იყოს კარგი“. ქცევის ავკარგიანობა ფასდება იმის მიხედვით, რას იტყვიან შენზე სხვები. ბავშვი ცდილობს, ისე მოიქცეს, რომ მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანებისგან შექება და მხარდაჭერა დაიმსახუროს (მშობლები, მასწავლებლები, მეგობრები), იწყებს „კარგის“ და „ცუდის“ შესახებ საკუთარი წარმოდგენების ფორმირებას. ცდილობს, სხვების თვალში კარგი გამოჩნდეს, იყოს „კარგი ბიჭი“ ან „კარგი გოგო“. ამ ასაკში ბავშვისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უფროსის მაგალითი.

სტადია 4. სოციალური წესრიგის შენარჩუნება. მეოთხე სტადიაზე მყოფი ადამიანი ემორჩილება კანონებს და ასრულებს თავის მოვალეობებს იმისთვის, რომ შენარჩუნდეს სოციალური წესრიგი. მაგალითად, ბავშვი ამბობს: ქმარმა წამალი უნდა მოიპაროს. მისი მოვალეობაა, დაიცვას ცოლის სიცოცხლე. მაგრამ ქურდობა ცუდია, ამიტომ მან ფარმაცევტს შემდეგში ფული უნდა გადაუხადოს, ხოლო აფთიაქის გატეხვისთვის კი სასჯელი მოიხადოს, ან - მაშინაც კი, თუ ცოლი გიკვდება, შენი მოქალაქეობრივი ვალია, კანონი დაიცვა. თუ ყველა დაარღვევს კანონს, ქვეყანაში დანაშაული და ძალადობა გამეფდება.

მეოთხე სტადიაზე მყოფი ადამიანები მორალურ გადაწყვეტილებებს საზოგადოების გადასახედიდან ღებულობენ, ისინი აზროვნებენ, როგორც სოციუმის წამდვილი და სრულფასოვანი წევრები. ქცევის შეფასებაში წამყვანი ხდება მისი შესატყვისობა საზოგადოებაში დანესებულ ნორმებთან და

იურიდიულ კანონებთან.

დონე III. პოსტკონვენციური მორალი

სტადია 5. სოციალური კონტრაქტი და ინდივიდუალური წესები. მეხუთე სტადიაზე მყოფი ადამიანები თვლიან, რომ კარგი საზოგადოება შეიძლება წარმოვადგინოთ სოციალური კონტრაქტის სახით, რომელშიც ადამიანები თავისი ნებით ერთვებიან, რათა მიღწეულ იქნეს საყოველთაო კეთილდღეობა. ისინი აცნობიერებენ, რომ განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებს აქვთ განსხვავებული ღირებულებები, ამიტომ საჭიროა, რომ - პირველი, დაცული იყოს ადამიანის ბაზისური უფლებები, როგორცაა სიცოცხლისა და თავისუფლების უფლება და მეორე, ნებისმიერი უთანხმოება გადაწყდეს დემოკრატიული პროცესების დახმარებით. მაგალითად, ბავშვები ასე პასუხობდნენ: - მართალია, არსებობს კანონი ქურდობის შესახებ, მაგრამ ის არ გულისხმობს ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ ძალადობას. წამლის მოპარვით კანონი დაირღვა, მაგრამ ქმარს ამ შემთხვევაში ქურდობა ეპატიება. კანონი უნდა გადაიხედოს.

მეხუთე სტადიაზე მყოფი ადამიანებისთვის ქცევის შეფასების მთავარი კრიტერიუმია დემოკრატიულად მიღებული გადაწყვეტილებების პატივისცემა და ადამიანის უფლებათა დაცვა. ერთი მხრივ, პიროვნება ხვდება, რომ წესების უმრავლესობა ფარდობითია, მეორე მხრივ, აცნობიერებს, რომ არსებობს ეჭვმიუვალი წესები - სიცოცხლის დაცვა და თავისუფლების მხარდაჭერა. ადამიანი იქცევა საკუთარი მორალური პრინციპების შესატყვისად, მაგრამ, ამავე დროს, პატივს სცემს სხვა ადამიანის მორალურ პრინციპებსაც.

სტადია 6. უნივერსალური ეთიკური პრინციპები. ამ საფეხურზე მყოფი ადამიანი მსჯელობს სინდისის ეთიკური პრინციპებით, რომლებიც ვრცელდება მთელს კაცობრიობაზე,

განურჩევლად კანონისა და სოციალური შეთანხმებისა. მეექვსე საფეხურზე მყოფი პიროვნებები, როგორც წესი, საუბრობენ ისეთ პრინციპებზე, როგორცაა თანაბარი ზრუნვა ყველა ადამიანის მოთხოვნილებაზე, თითოეული პიროვნებისთვის პატივის მიგება და ღირსების პატივისცემა. ამ სტადიაზე მყოფი ადამიანი შემდეგნაირად მსჯელობს: - თუ ქმარი ყველაფერს არ გააკეთებს იმისთვის, რომ სიცოცხლე იხსნას, ის ადამიანის სიცოცხლეზე მალლა სხვა ფასეულობას დააყენებს.

რა არის მორალურად სწორი, განისაზღვრება არა კანონით და წესით, არამედ სინდისით. ამ ადამიანებს არ ახასიათებთ ეგოცენტრიზმი. ისინი იქცევიან ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი პრინციპების შესაბამისად - „ჭეშმარიტება, უპირველეს ყოვლისა. მე ეს უნდა გავაკეთო, თუმცა ამის გამო შეიძლება დავისაჯო“.

ამ სტადიას აღწევს ადამიანების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა (ამ კატეგორიაში მოიაზრებიან, მაგ. მაჰათმა განდი, მარტინ ლუთერ კინგი, დედა ტერეზა).

ლ. კოლბერგმა თავის გვიან შრომებში გამოთქვა მოსაზრება, რომ მეხუთე და მეექვსე სტადია არ განსხვავდება ერთმანეთისგან და ამიტომ ერთი სტადიაში უნდა გაერთიანდესო.

ლ. კოლბერგის მიხედვით, მორალური მსჯელობის განვითარება 2 მიმართულებით ხორციელდება:

1. თავიდან მორალური მსჯელობა დაფუძნებულია გარეგან შედეგებზე, ხოლო მოგვიანებით - ინტერნალიზებულ (შინაგან) მორალურ პრინციპებზე.
2. თავიდან მორალური მსჯელობა გამოირჩევა კონკრეტულობის მაღალი დონით, ხოლო მოგვიანებით ის აბსტრაქტული ხდება.

ცხრილი 2

ლ. კოლბერგის მორალური მსჯელობის განვითარების სტადიები.

მორალური მსჯელობის განვითარების სტადია	რას ნიშნავს სწორად მოქცევა	რატომ უნდა მოვიქცე სწორად	მორალური მსჯელობა
0 სტადია 0-2 წელი	ვაკეთებ იმას, რაც მსიამოვნებს		
1 სტადია 2-3 წელი	ვაკეთებ იმას, რასაც უფროსები მეუბნებიან.	მივიღო ჯილდო და თავიდან ავიცილო სასჯელი.	არ უნდა მოეპარა, ამის გამო დაისჯება. ან თუ არ მოიპარავდა, მაშინ ცოლი მოუკვდებოდა.
2 სტადია 4-7 წელი	მოვექცე სხვებს ისე, როგორც ისინი მექცევიან.	რათა ხელიდან არ გავუშვა სარგებელი.	უნდა მოეპარა, როცა ციხიდან გამოვა, ცოლთან ერთად ბედნიერად იცხოვრებს. ან ქმარი უფრო მეტად რისკავს, ვიდრე ღირს, ის შეიძლება ციხეში ჩასვან.
3 სტადია 7-10 წელი	გავა-მართლო მოლოდინი, მივანიჭო სხვებს სიამოვნება.	ჩემზე კარგი აზრის რომ იყვნენ.	უნდა მოეპარა, მას ხომ ცოლის გადარჩენა უნდოდა. ან არ უნდა მოეპარა, მასზე იტყვიან - ქურდიო.

<p>4 სტადია 10-13 წელი</p>	<p>დავემორჩილო კანონებს და შევასრულო ჩემი მოვალეობები.</p>	<p>ვიყო ნამდვილი მოქალაქე, ხელი შევუწყო საზოგადოების სტაბილობას.</p>	<p>ქმრის მოვალეობაა, იზრუნოს ცოლზე, თუგინდ ამისთვის დანაშაული ჩაიდინოს. ან არ არის წესი ქურდობა, რაც უნდა უჭირდეს ადამიანს.</p>
<p>5 სტადია 13 წლის ზემოთ</p>	<p>დავიცვა საკუთარი და სხვა ადამიანების უფლებები.</p>	<p>საჭიროა დემოკრატიულად მიღებული გადაწყვეტილებების და სხვა ადამიანების მორალური პრინციპების პატივისცემა.</p>	<p>ამ წყვილს ჰქონდა უფლება, წამალი მიეღოთ და თუ ფარმაცევტი არ აძლევდა, სახელმწიფოს უნდა ეზრუნა მათზე.</p>
<p>6 სტადია 18 წლის ზემოთ</p>	<p>ვიმოქმედო სინდისა და ეთიკური პრინციპებით.</p>	<p>ჭეშმარიტება უპირველესია. (მე შემეძლია, თქვენ არ დაგათანხმოთ, მაგრამ თავს გავწირავ იმისთვის, რომ თქვენ შეძლოთ აზრის გამოთქმა. ვოლტერი)</p>	<p>მიუხედავად იმისა, რომ ქურდობა კანონით ისჯება, ადამიანის სიცოცხლე უფრო ღირებულია.</p>

რა უდევს საფუძვლად მორალური მსჯელობის განვითარებას?

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ლ.კოლბერგი ეთანხმებოდა ჟ.პიაჟეს შეხედულებებს. მისი აზრით, მორალური მსჯელობის განვითარებას განაპირობებს არა მხოლოდ მომწიფება და სოციალიზაცია (მშობლების, პედაგოგების შეხედულებები), არამედ მორალურ პრობლემაზე ბავშვის საკუთარი ნააზრევი (ჟ. პიაჟეს აქტივობა).

როცა ჩვენ სხვას ვეკამათებით, აღმოვაჩინთ, რომ ჩვენს აზრებს არ ეთანხმებიან, ამიტომ გვიჩნდება სწრაფვა, წავიდეთ წინ და შევიმუშავოთ ახალი, უფრო ზოგადი პოზიცია.

მორალური მსჯელობის განვითარებას ასევე ხელს უწყობს სხვა ადამიანის როლის შესრულებაც.

მორალურ განვითარებას, ლ. კოლბერგის მიხედვით, საფუძვლად უდევს 3 კრიტერიუმი:

- ორიენტაცია ავტორიტეტზე.
- ორიენტაცია ტრადიციაზე, წესებზე.
- ორიენტაცია პრინციპებზე

ქცევის წესებისა და ნორმების ინტერიორიზაციის (შინაგან პლანში გადატანის) მექანიზმებია:

იმიტაცია - ბავშვის გაცნობიერებული სურვილი, გააკეთოს მისთვის ღირებული უფროსის, თანატოლის, ლიტერატურული გმირის ქცევის კოპირება.

იდენტიფიკაცია - სხვისი ქცევის მოდელის, ღირებულებების, განწყობების მიღება.

სირცხვილის გრძნობა - გარკვეული ქცევის აკრძალვის მექანიზმი.

დანაშაულის გრძნობა - შინაგანი განცდა იმისა, რომ ჩადენილი საქციელი არ შეესატყვისება მისი პიროვნების ღირებულებებს.

ლ. კოლბერგის აზრით, ინდივიდის მორალური მსჯელობის განვითარების ზუსტი მეტრიკული ასაკის მითითება რთულია, ვინაიდან ეს მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული (გონებრივ მომწიფებასთან ერთად) როგორც საზოგადოების სოციალ-კულტურულ მახასიათებლებზე, ასევე მაკრო და მიკროსოციალურ გარემოზე.

ლ. კოლბერგისა და ბევრი სხვა მკვლევარის მონაცემებით, პრეკონვენციური მსჯელობა (1 და 2 სტადია) უფრო მეტად დამახასიათებელია სკოლამდელი და დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისათვის. მე-2 სტადია ასევე მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი მოზარდობის ასაკის დასაწყისში. კონვენციური მსჯელობა (3 და 4 სტადია), როგორც წესი, დამახასიათებელია მოზარდებისთვის და საკმაოდ გავრცელებულია მოზრდილებთანაც. პოსტკონვენციური მსჯელობა (5 და 6 სტადია) შედარებით იშვიათად გვხვდება მოზრდილებთანაც კი. მაგალითად, ერთ-ერთ კვლევაში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ 40-60 წლის ადამიანები, მოზრდილების მხოლოდ 13% აღმოჩნდა მორალური მსჯელობის განვითარების მე-5 სტადიაზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ლ. კოლბერგს ბევრი აკრიტიკებდა, მაგალითად, იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობს დიდი განსვლა მორალურ მსჯელობასა და მორალურ ქცევას შორის. შეიძლება ადამიანს ჰქონდეს მაღალი მორალური პრინციპები, მაგრამ ქცევის განხორციელებისას არ აღმოჩნდეს სათანადო დონეზე.

მაგალითად, ცნობილი კრიტიკოსი და მეცნიერი ნენსი ეიზენბერგი კოლბერგის მთავარ შეცდომად თვლიდა იმას, რომ მისი მორალური განვითარების სტადიები საკმაოდ მკაცრადაა განსაზღვრული. ის თვლიდა, რომ ბავშვების მორალური განვითარების წინასწარმეტყველება რთულია და მკაცრ ჩარჩოში ვერ ჩავსვამთ. ბავშვების მორალური აზროვნება ბევრი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგად ყალიბდება. მაგალითად, ისეთის, როგორცაა მათი კულტურისთვის დამახასიათებელი ჩვევები და ტრადიციები, გრძნობები, რომლებსაც ისინი კონკრეტულ მომენტში განიცდიან და ა. შ.

ერთ მომენტში ბავშვებმა (და მოზარდებმაც) შეიძლება გამოავლინონ მორალური მსჯელობის საკმაოდ მაღალი დონე, ხოლო მეორე მომენტში - უფრო დაბალი. ერთ საკითხზე (მაგალითად ტრავმირებულისთვის დახმარების აღმოჩენა) შეიძლება გამოთქვან მაღალი დონისთვის დამახასიათებელი მსჯელობა, ხოლო მეორე საკითხზე (მაგალითად, იმ ადამიანის სტუმრად მიწვევა, რომელიც არ მოგვწონს) - უფრო დაბალი დონისთვის დამახასიათებელი მსჯელობა.

ლ. კოლბერგი აცნობიერებდა იმას, რომ მის მიერ წამოყენებული დებულებები არ იყო უნაკლო და ცდილობდა თავის თეორიაში გარკვეული კორექტივების შეტანას.

ლ. კოლბერგის თეორიის მნიშვნელობა განათლებისთვის

როგორ გამოვიყენოთ მორალური განვითარების სტადიები განათლების სისტემაში?

სიცოცხლის ბოლო 20 წელი ლ. კოლბერგმა დაუთმო ამ პრობლემის გადაწყვეტას. ის ემყარებოდა ჯ. დიუის 2 იდეას:

- აღზრდა უნდა ემყარებოდეს მოსწავლეების, მასწავლებლების და მეცნიერების ურთიერთქმედებას.

- დემოკრატია, ეს არის ერთადერთი გზა, რომელიც იძლევა საშუალებას, ნებისმიერი აღმზრდელობითი დაწესებულება გარდაიქმნას „სამართლიან საზოგადოებად“.

ლ. კოლბერგის აზრით, როცა ბავშვები ისმენენ უფროსების მსჯელობას მორალზე (მაგალითად, ქურდობა ამორალური საქციელია), მათი წინსვლა მორალური განვითარების თვალსაზრისით უმნიშვნელოა. ლ. კოლბერგი თვლიდა, რომ ბავშვის მორალური განვითარებისათვის საჭიროა მათი აქტივობა (არ დაგვაგინყდეს, რომ ის ყ. პიაჟეს შეხედულებებს იზიარებდა). ბავშვებმა უნდა იკამათონ, გამოთქვან თუნდაც განსხვავებული შეხედულებები. პედაგოგმა კი უნდა უბიძგოს ბავშვებს იმ არგუმენტების მოძიებისკენ, რომლებიც დამახასიათებელია მომდევნო სტადიისთვის. როცა ბავშვი ისმენს მისი მოსაზრების საპირისპირო არგუმენტებს, ადგილი აქვს კოგნიტურ კონფლიქტს და საჭიროა პრობლემის უფრო ფართოდ განხილვა.

კოგნიტური კონფლიქტის პროვოცირების მეთოდი, რომელსაც იყენებდა ლ. კოლბერგი, არის ყ. პიაჟეს წონასწორობის* დარღვევის მოდელის მაგალითი. თუ ბავშვს აქვს გარკვეული შეხედულება და ისმენს მისი თვალსაზრისის საპირისპირო მოსაზრებას, ადგილი აქვს წონასწორობის დარღვევას. ამიტომ მან უნდა აღადგინოს წონასწორობა და შეიმუშაოს ახალი თვალსაზრისი.

მაგალითად, ერთი ბავშვი ამბობს: - ქმარმა უნდა მოიპაროს წამალი თავისი ცოლის გადასარჩენად.

მეორე ბავშვი ამბობს: - აფთიაქარს კანონი არ დაურღვევია.

აქ შეიძლება ბავშვს დავეხმაროთ და დავუსვათ კითხვა: - ე. ი. აფთიაქარის ქცევა სამართლებრივი კუთხით არ არის მცდარი, მაგრამ შენ მაინც გრძნობ, რომ მისი ქცევა რალაცა

* წონასწორობა - ეს არის ბალანსი ასიმილაციასა და აკომოდაციას შორის.

მხრივ არასწორია?

ლ. კოლბერგის მონაცემებით, მნიშვნელოვან წარმატებას, მორალური მსჯელობის განვითარების მხრივ, აღწევდნენ ის ბავშვები, რომლებიც ავლენდნენ განსაკუთრებულ ინტერესს მორალური დილემების მიმართ. ეს შედეგი კი ეთანხმება ჟ. პიაჟეს შეხედულებას, რომ ბავშვის კოგნიტურ განვითარებას განაპირობებს მისი აქტივობა (ამ შემთხვევაში, ინტერესი). ბავშვის ინტერესს იწვევს ინფორმაცია, რომელიც არ შეესატყვისება მის კოგნიტურ სქემას (ასიმილაცია**) და ჩნდება იმის მოტივაცია, რომ კოგნიტური სქემა შეიცვალოს (აკომოდაცია***).

ლ. კოლბერგის აზრით, თუ ბავშვებს მუდმივად მივანვდით ერთი საფეხურით უფრო მაღალ (ვიდრე ისინი იმყოფებიან) მორალურ მსჯელობებს, ეს სტიმულს მისცემს მათ, გადავიდნენ მორალური განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. ამისათვის კი ყველაზე კარგია, მოენწყოს მორალური დილემების განხილვა ჯგუფში, სადაც აუცილებლად იქნებიან მორალური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ბავშვები და მათ ექნებათ იმის საშუალება, რომ მოისმინონ უფრო მაღალი საფეხურის მორალური მსჯელობები. **ამას შეიძლება ვუწოდოთ ლ. კოლბერგის „უახლოესი განვითარების ზონა“.**

ლ. კოლბერგი გვთავაზობს სკოლაში „სამართლიანი გაერთიანების“ შექმნას. მასში უნდა შევიდნენ როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები და სკოლის ადმინისტრაცია. სკოლაში ქცევის წესები და ნორმები უნდა შემუშავდეს როგორც ბავშვების, ასევე პედაგოგებისა და ადმინისტრაციის შეთანხმების საფუძველზე.

** ასიმილაცია - ეს არის პროცესი, როცა ხდება ახალი ინფორმაციის მოთავსება უკვე არსებულ სქემაში, რომელიც საკმარისია ახალი ინფორმაციის გასაგებად.

*** აკომოდაცია - ამ დროს იცვლება უკვე არსებული სქემა, რათა შესაძლებელი გახდეს იმ ახალი ინფორმაციის გაგება, რომელიც გაუგებარია არსებული სქემების გამოყენებით.

ყოველ კვირას უნდა მოენყოს მრგვალი მაგიდა, სადაც განხილული იქნება პრობლემური ან უსამართლო ქცევა, როგორც ბავშვების, ასევე პედაგოგების მხრიდან. ყველას უნდა ჰქონდეს უფლება, გამოთქვას თავისი აზრი ან ემოცია. ეს კი ხელს შეუწყობს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის პარტნიორული, თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. სკოლაში შეიქმნება დემოკრატიული სოციალური სტრუქტურა.

„სამართლიან გაერთიანებაში“ მასწავლებელსაც და მოსწავლესაც უნდა ჰქონდეს ხმის თანაბარი უფლება. ამასთან ერთად, მასწავლებელმა უნდა ნააქეზოს ბავშვები, იფიქრონ ამა თუ იმ ქცევის ზნეობრივ შედეგზე. მომნიშვნელო მორალური მსჯელობა ჩნდება მაშინ, როცა ბავშვები თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ აზრს, კამათობენ უფროსების მხრიდან გამოთქმული უფრო მაღალი დონის მორალური მსჯელობის შესახებ.

უფრო მეტიც, ლ. კოლბერგი თვლის, რომ მაღალი დონის მორალური მსჯელობა უბიძგებს მორალური ქცევის განხორციელებას.

ლ. კოლბერგის თეორიის ძირითადი იდეები:

1. მორალური მსჯელობის განვითარება 6 სტადიას გაივლის.
2. მორალური მსჯელობის სტადიები ერთმანეთისგან თვისობრივად განსხვავდებიან.
3. სტადიები გარკვეული თანმიმდევრობით ვითარდებიან. შეუძლებელია რომელიმე სტადიის გამოტოვება ან უკან დაბრუნება.
4. მორალური მსჯელობის განვითარების საფუძველია - მომნიშვნელობა, სოციალიზაცია და აქტივობა.

რეკომენდაციები პედაგოგებს:

- შექმენით საკლასო ოთახში სამართლიანი და თბილი ატმოსფერო.
- დაეხმარეთ მოსწავლეებს იმ დილემების განხილვაში, რასთანაც მათ შეხება აქვთ, ან ექნებათ მომავალში. მაგალითად, კონფლიქტი თანატოლებს შორის, ახალი მოსწავლის ადაპტაცია კლასთან, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მიმართ დამოკიდებულება, ტყუილი, სასკოლო ინვენტარის დაზიანება, აგრესია და ა.შ.
- სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასაბუთონ თავიანთი შეხედულება, შემდეგ გაცვალონ როლები და იმსჯელონ ახალი პოზიციიდან.
- დაეხმარეთ მოსწავლეებს სხვა ბავშვების შეხედულებების გაგებაში.
- დაეხმარეთ მოსწავლეებს ღირებულებებისა და მოვლენების დაკავშირებაში. მაგალითად, წარმართეთ დისკუსია: რა უნდა გაკეთდეს? როგორ მოვიქცეთ? რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას?
- სასურველია დისკუსიის წარმართვა მცირე ჯგუფებში.
- იყავით კარგი მსმენელი.
- გამიჯნეთ ადმინისტრაციული წესები მორალური წესებისგან.
- როდესაც რომელიმე ბავშვის ქცევა სხვა ბავშვის მიმართ უსამართლოა, ყურადღება გაამახვილეთ სხვისთვის მიყენებულ ზარალზე.

- გამართეთ დისკუსია, ან დაანერინეთ თხზულება სხვადასხვა თემაზე. მაგალითად, „რა არის სამართლიანობა“, „ყველაზე მნიშვნელოვანი დღე ჩემს ცხოვრებაში“, „ადამიანი, რომელმაც ყველაზე დიდი გავლენა იქონია ჩემზე“, „ზრუნვა - ოჯახზე, მეგობრებზე, უცნობზე, სამშობლოზე, სამყაროზე“, „ომი“, „სიღარიბე“, „ძალადობა“ და ა.შ.
- შეაქეთ თქვენი მოსწავლეები, როცა ისინი ამას იმსახურებენ. ეს მნიშვნელოვანი სტიმულია ბევრი დადებითი პიროვნული თვისების ჩამოყალიბებისათვის.
- ითანამშრომლეთ სკოლის ფსიქოლოგთან, სხვა კლასის მასწავლებლებთან, მშობლებთან. ეს საშუალებას მოგცემთ, პრობლემის მოგვარების სხვადასხვა საშუალება გამოიყენოთ.

განმარტეთ ცნებები:

მორალური რეალიზმი _____

მორალური რელატივიზმი _____

კონვენციური მორალი _____

საკონტროლო კითხვები:

1. რა ფაქტორები განაპირობებს მორალური მსჯელობის განვითარებას? _____

2. მორალური დილემა:

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა ღარიბი კაცი. მას ფული არ ჰქონდა, ამიტომ პური და წამალი მოიპარა. პოლიციამ ის დაიჭირა და 6 წლით ციხეში ჩასვა. 2 წლის შემდეგ ციხიდან გაიპარა. დაიწყო ცხოვრება ახალ ადგილას, სხვა ადამიანის სახელით. სამსახური იშოვა, ფული დააგროვა, ააშენა ფაბრიკა და თავის მუშებს უხდიდა ყველაზე დიდ ხელფასს. ააშენა საავადმყოფო, სადაც ავადმყოფებს უფასოდ მკურნალობდნენ. გავიდა 20 წელი და ერთმა მეზღვაურმა ის იცნო.

- უნდა უთხრას, თუ არა მეზღვაურმა პოლიციას, რომ ის ციხიდან გაქცეული პატიმარია ?

ქვემოთ მოცემულია, თუ როგორ უპასუხებს ამ შეკითხვას, მორალური განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ადამიანი.

მიუწერეთ სტადიებს სახელწოდებები:

- თუ არ ვეტყვი პოლიციას და გაიგეს, რომ მე ვიცანი - **დამსჯიან** (ან: თუ ვეტყვი პოლიციას, შეიძლება მდიდარმა კაცმა დამსაჯოს) _____

- თუ პოლიციას არ ვეტყვი, შეიძლება ეს მდიდარი კაცი ოდესმე რამეში **გამოვიყენო** (ან: თუ ვეტყვი, შეიძლება პოლიციამ დამაჯილდოს) _____

- „კარგი ადამიანები“ პოლიციას არ ატყუებენ (ან: კარგ ადამიანს „არ ჩაუშვებენ“) _____

- **წესი** მოითხოვს, სიმართლე ვთქვა (ან: წესი არაა, კარგი ადამიანი „დ ავაბეზლო“, დანაშულის განცდა შემანუხებს)
-
-
-
-
-

- ჩემი **ზნეობრივი პრინციპებიდან** გამომდინარე, პოლიციას აუცილებლად ვეტყვი, იმიტომ რომ ჩადენილი დანაშაულისთვის ყველამ სასჯელი უნდა მოიხადოს (ან: ყოველთვის უნდა თქვა სიმართლე, მაგრამ რადგან ეს ეხება ადამიანს, რომელმაც თავისი დანაშაული უკვე გამოისყიდა, მე მას არ გავცემ)
-
-
-
-
-

- ჩემი **ეთიკური პრინციპი ასეთია** - სიმართლე ყველაზე მნიშვნელოვანია (ან: მზად ვარ, უსამართლოდ დაჩაგრული, კარგი ადამიანი დავიცვა, თუნდაც დავისაჯო კიდევ)
-
-
-
-
-

3. შეკითხვა: თუ თქვენს მეგობარს შია, უნდა მოიპაროთ ფული მის დასახმარებლად?

ბავშვის პასუხი: - კი, იმიტომ რომ თუ მეც მომიწევს შიმშილი, მეგობარი დამეხმარება.

ლ. კოლბერგის მიხედვით, მორალური განვითარების რომელ სტადიაზე იმყოფება ბავშვი?

4. ბავშვი ამბობს: მე ვცდილობ, დავეხმარო მშობლებს, იმიტომ რომ ისინი ყოველთვის მეხმარებიან. მე მინდა, დედას ვასიამოვნო და ვცდილობ, გავაკეთო ის, რაც მას უნდა.

ლ. კოლბერგის მიხედვით, მორალური განვითარების რომელ სტადიაზე იმყოფება ბავშვი ?

5. წარმოიდგინეთ საზოგადოება, სადაც ყველა ადამიანი მორალურ პრობლემას წყვეტს კოლბერგის მე-3 სტადიის პრინციპის მიხედვით და საზოგადოება, სადაც ყველა წევრი იმყოფება მორალური განვითარების მე-5 სტადიაზე. რითი განსხვავდება ეს ორი საზოგადოება ერთმანეთისგან?

რა კითხვები გამიჩნდა მოცემულ მასალასთან დაკავშირებით

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნ. ჯანაშია, ნ.იმედაძე, ს. გორგოძე (2008 წ.). განვითარებისა და სწავლების თეორიები. საქართველოს მაცნე.
2. ა. ვულფოლკი (2012 წ.). განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელობის უნივერსიტეტის, გამომცემლობა.
3. Грейс Крайг, Дон Бокум (2011г.), «Психология Развития», 9-е издание, изд. «ПИТЕР».
4. Филип Райс, Ким Долджин,(2010 г.) «Психология подросткового и юношеского возраста», 12-е издание, изд. «ПИТЕР».
5. Уильям Крейн(2012 г.), «Теории развития»(2002 г.), 5-е издание, Москва, ЕВРОЗНАК.
6. Kohlberg L. (1981), Essays on moral development. New York, Harper&Row.
7. Berk. L. (2002), Infants, children and adolescents (4 th. ed), Boston, MA: Allyn&Bacon .

